

მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოგადახანი პრიორიტეტების დოკუმენტი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ჭიათურის პლატოსა და მდინარე ყვირილის ვიწრო ხეობაში, გომი-საჩხერე-ზესტაფონის საავტომობილო გზის გარშემო, რომელსაც ესაზღვრება აღმოსავლეთით - საჩხერის, სამხრეთ-დასავლეთით - ზესტაფონის, დასავლეთით - თერჯოლის, ჩრდილოეთით - ამბროლაურის, ჩრდილო-დასავლეთით - ტყიბულის და სამხრეთით - ხარაგაულის მუნიციპალიტეტები. დედაქალაქიდან 182 კმ-ის დაშორებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 234 კმ-ის დაშორებით, იმერეთის რეგიონის ცენტრიდან ქალაქი ქუთაისიდან 73 კმ-ის დაშორებით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 96 კმ-ით დაშორებული (1 სთ და 50 წუთის სავალი დროით).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ჭიათურა. მანძილი ქ. თბილისსა და ჭიათურას შორის 182 კმ – ია. ჭიათურის მუნიციპალიტეტი მოიცავს 16 მუნიციპალურ ერთეულს: ქალაქ ჭიათურას, 13 თემს (გეზრული, ვაჭევი, ზოდი, ითხვისი, კაცხი, მანდაეთი, ნიგოზეთი, პერევისა, სარქველთუბანი სვერი, ქვაციხე, წირქვალი, ხვაშითი) და 2 სასოფლო თემს (რგანი, ხრეთი). ჭიათურის მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი 60 სოფლიდან 20 მაღალმთიანი სოფელია.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი 542 კმ²-ია, საიდანაც 75,4% ანუ ძირითადი ნაწილი მთიანია, 20% - გორაკბორცვიანი, 4,6%-მდე - დაბლობი. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 650 მ-ია. ფართობის მოცულობა რეგიონთან (6518,8კმ²)8,3%, ხოლო ქვეყანასთან (69700 კმ²) 0,77 %. მუნიციპალური გზების სიგრძე განისაზღვრება 500 კილომეტრამდე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხოვნობა 39 800 კაცია, რაც რეგიონის მოსახლეობის (703300 კაცი) 5,7%, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის 3723500 კაცი) 1.1%-ია.

ქალაქად მცხოვრები – 12 800 ადამიანი, ხოლო სოფლებში 27 000 ათასი ადამიანი ცხოვრობს. 0-დან 6 წლამდე ასაკის 3000-მდე ბავშვი და 6-დან 18 წლამდე ასაკის 5300-მდე მოზარდი.

მოსახლეობის სიმჭიდროვეა 73 კაცი კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) აღემატება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 12 650 პენსიის მიმღები ბენეფიციარია, მუნიციპალიტეტში ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1785 პირი, მათ შორის 350 პირგელი ჯგუფის ინვალიდი და 1435 მეორე ჯგუფის ინვალიდი.

2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა ბიუჯეტში ცამეტი ცვლილების შედეგად განისაზღვრა 37909582 ლარით.

ჭიათურაში საკმაოდ ნოტიო ზღვის სუბტროპიკული ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა +13%, დანვარი +2%, ივლისი +23%, აბსოლუტური მინიმუმი -20, აბსოლუტური მაქსიმუმი +42 ნალექები 1100 მმ. წელიწადში. საშუალო წლიური ტენიანობა - 70%-ია. ძირითადად გავრცელებულია დასავლეთის მიმართულების ქარი, ქარის საშუალო სიჩქარე წელიწადში 10 –15 კმ/სთ. ნიადაგი ძირითადად ნეშომპალაკარბონატულია.

სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის 20%-მდე, ანუ 10840 ჰა, აქედან სავარგული 7,2% ე.ი. 2562ჰა, საიდანაც სახნავს უჭირავს - 1699 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს - 1283ჰა, მათ შორის ვაზს - 932ჰა, დანარჩენი საძოვარი და სათიბია.

ჭიათურის მუნიციპალიტეტიში მთავარი მდინარეა ყვირილა, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. მისი სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში 20 კმ-ია. მდინარის შენაკადებია ჯრუჭულა, საძალიხევი და სხვა.

მუნიციპალიტეტის თითქმის მთელი ტერიტორია მიეკუთვნება მთიან ზონას და ხასიათდება რთული ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით, რის გამოც იგი არათანაბრადაა ათვისებული. დასახლებული პუნქტები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა ხეობებში. რელიეფი ძლიერ დანაწევრებულია მდ. ყვირილას და მისი შენაკადების მიერ, რაც ქმნის პირობებს ღვარცოფების და მეწყრული სხეულების ჩასახვა-ჩამოყალიბებისთვის.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სამრეწველო რაიონს.იგი მდიდარია მანგანუმის,კვარცის ქვიშისა და მარმარილოს საბადოებით.დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ხორციელდება მანგანუმისა და კვარცის ქვიშის მოპოვება,სადაც დასაქმებულია 4000-მდე მუშა-მოსამსახურე.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დასახელება	წლის ფაქტი 2020	წლის პროგნოზი 2021	წლის პროგნოზი 2022	წლის პროგნოზი 2023	წლის პროგნოზი 2024	წლის პროგნოზი 2025
შემოსავლები	30,255.12	37,189.66	24,464.00	23,816.00	25,307.00	26,683.00
გადასახადები	11,867.42	13,913.00	17,041.60	15,881.00	17,215.00	18,592.22
გრანტები	9,754.20	11,933.98	255.00	255.00	255.00	255.00
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	9,754.20	11,933.37	255.00	255.00	255.00	255.00
სხვა შემოსავლები	8,633.50	11,342.68	7,167.40	7,680.00	7,837.00	7,835.78
ხარჯები	14,454.70	20,499.37	20,584.73	20,724.72	20,724.72	20,724.72
შრომის ანაზღაურება	2,086.70	2,180.34	3,528.52	3,528.52	3,528.52	3,528.52
საქონელი და მომსახურება	1,230.90	1,803.92	1,372.09	1,380.00	1,380.00	1,380.00

ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	49.60	51.10	51.20	51.20	51.20	51.20
სუბსიდიები	8,765.70	12,777.47	13,343.20	13,500.00	13,500.00	13,500.00
გრანტები	79.70	8.50	25.00	0.00	0.00	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,977.20	2,067.42	1,865.00	1,865.00	1,865.00	1,865.00
სხვა ხარჯები	264.90	1,610.63	399.72	400.00	400.00	400.00
საოპერაციო სალდო	15,800.42	16,690.29	3,879.27	3,091.28	4,582.28	5,958.28
არაფინანსური აქტივების ცვლილება	16,879.10	19,593.39	3,802.67	3,015.08	4,504.86	5,882.06
ზრდა	17,026.80	19,626.09	3,838.67	3,015.08	4,504.86	5,882.06
კლება	147.70	32.70	36.00			
მთლიანი სალდო	-1,078.68	-2,903.10	76.60	76.20	77.42	76.22
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,155.50	-2,979.70	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	1,180.30					
კლება	2,335.80	2,979.70				
ვალდებულებების ცვლილება	-76.82	-76.60	-76.60	-76.60	-76.60	-76.60
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო						
საშინაო						
კლება	76.82	76.60	76.60	76.60	76.60	76.60
საგარეო						
საშინაო	76.82	76.60	76.60	76.60	76.60	76.60
ბალანსი	0.00	0.00	0.00	-0.40	0.82	-0.38
მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი						
შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები)						

ა) 2022 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო განისაზღვრება 76.6 ათასი ლარით;

2.2 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება და 2121 წლის ბიუჯეტების 9 თვის შესრულება


ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური (იანვარ-დეკემბრის თვის) შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 23 დეკემბერს №31 დადგენილებით 22869.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია 3097.4 ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრულია 230,0 ათასი ლარით, კაპიტალური ტრანსფერი 2867.4 ათასი ლარით.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 19719.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 11967.7 ათასი ლარი გადასახადების სახით, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2600.0 ათას ლარს, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1275.0 ათას ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 10.0 ათას ლარს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 65.0 ათას ლარს, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1250 ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 9367.7 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) 7751.9 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **52.0** ათასი ლარით.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2020 წლის იანვარ - დეკემბერში ბიუჯეტის მიმართ ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებით განხორციელდა 9-ჯერ, ხოლო მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ბიუჯეტის დაზუსტება მოხდა 8-ჯერ (მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის №51 81, 7 თებერვლის №51 204, 28 თებერვლის №51 366, 7 აგვისტოს №51 1235, 24 აგვისტოს №51 1251, 31 აგვისტოს №51 1424 ბრძანებებით, 20 ოქტომბრის N51 1756 ბრძანებით და 18 დეკემბრის 51 2013 ბრძანებით), რის შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა **30056.9** ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 8689.2 ათას ლარს. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 1027.0 ათას ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 1109.0 ათას ლარს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები, 5741.2 ათას ლარს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 812.0 ათას ლარს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **21114.7** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **10596.1** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **10518.6** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **253.0** ათასი ლარით.

2020 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4559.9** ათას ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **991.0** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3568.9** ათას ლარს. მათ შორის:

№	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა (ლარებში)
	2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	4559875
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
1	რეგრესის პენსია - საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007	5591.17
2	მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად-№972 განკარგულება 26/05/2012	15400
3	საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია	97961.56
4	საქართველოს მთავრობის №1213 განკარგულება 13/06/2017 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად	2000
5	საქართველოს მთავრობის №1454 განკარგულება 12/07/2017 - წყლის სისტემის რეაბილიტაცია	20752.52
6	მიზნობრივი ტრანსფერი	14368
7	სკოლების რეაბილიტაცია	1006
8	საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია	31307.49
9	საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების რეაბილიტაცია	13707.4
10	საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების ტრანსპორტი	18567.94
11	საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	11707.96
12	საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად	66736.94

12	საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია	797.83
14	საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია	451594
15	საქართველოს მთავრობის №1596 განკარგულება 10/07/2019-მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები (სხვადასხვა განკარგულებების დარჩენილი ნაშთების გაერთიანება)	239498
	სულ ც/ ბიუჯეტიდან	990996.81
	საკუთარი ნაშთი	3568878.19

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის წლიური ბიუჯეტის


საშემოსავლო ნაწილის ანალიზი

დასახელება	გეგმა	ფაქტი(საკასო)	პროცენტი
შემოსავლები	29803.9	30255.1	101.5
გადასახადები	10596.1	11867.4	112.0
გრანტები	8689.2	9754.2	112.3
სხვა შემოსავლები	10518.6	8633.5	82.1
არაფინანსური აქტივების კლება	253.0	147.7	58.4
სულ შემოსულობები	30056.9	30402.8	101.2
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	4118.1	1155.5	
ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)			
სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით	34175.0	31558.3	92.3

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური (იანვარ-დეკემბრის) შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე დაზუსტების შედეგად განისაზღვრა 29803.9 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით 30056.9 ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 30402.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 30056.9 ათასი ლარის 101.2 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია **1303.3** ათასი ლარით მეტი შემოსულობები. (2019 წლის იანვარ-დეკემბრის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 29099.5 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივის ცვლილება (კლება) გეგმით განისაზღვრა 4118.1 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად ფინანსური აქტივის კლებამ შეადგინა 1155.5 ათასი ლარი.

სახეობების მიხედვით 2020 წლის წლიური ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში



შემოსავლები

ქიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის იანვარ-დეკემბრის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 11867.4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 10596.1 ათასი ლარის 112.0 % ანუ შემოსავლების ძირითადი ნაწილი 39% , გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია სულ 3523.2 ათასი ლარი, გეგმა განსაზღვრული იყო 2600.0 ათ. ლარი. აქედან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შემოსულია 2377.1 ათასი ლარი (გეგმის 1285.0 ათასი ლარის 185.0%), სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი 1146.1 ათასი ლარი (გეგმის 1315.0 ათასი ლარის 87.2%).

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 8344.2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 7996.1 ათასი ლარის 104.4 %.

II.გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მოხილავებული იქნა 9754.2 ათას ლარი (გეგმა 8689.2 ათასი ლარი), მთლიან შემოსავლებში გრანტებმა შეადგინა 32%, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 763.6 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 1050.9 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5627.7 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 812.0 ათასი ლარი. სპეციალური ტრანსფერი 1500.0 ათასი ლარი

III სხვა შემოსავლები 2020 წლის წლიური (იანვარ-დეკემბრის) გეგმით განსაზღვრული 10518.6 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 8633.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 82.1 %-ია. მთლიან შემოსავლებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2020 წლის თორმეტ თვეში 28% შეადგინა.

სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში შემოსულია 174.2 ათასი ლარი (გეგმის 230.0 ათასი ლარის 75.7%), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 6186.7 ათასი ლარი გეგმის 7798.6 ათასი ლარის 79.3 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 6145.4 ათასი ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 21.1თ. ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 0.6 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2.8 ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 16.8 ათ. ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 19.1 ათასი ლარი, მიწის იჯარა 2.2 ათასი ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 44.4 ათასი ლარი, გეგმის 35.0 ათასი ლარის 126.7%. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 2006.0 ათასი ლარი, გეგმა 2000.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 9.1 ათასი ლარი, გეგმის 25.0 ათასი ლარის 36.4%; სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 124.3 ათასი ლარი, (გეგმა 255.4 ათასი ლარი) შესრულებულია 59.8 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 63.0 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 61.3 ათას ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შემოსულია 67.5 ათასი ლარი.


არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ-დეკემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 147.7 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული იყო 253.0 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 58.4%-ს. შემოსავალი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 102.8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან 33.8 ათასი ლარი. მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 11.1 ათასი ლარი.

ქიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური ასიგნებები

მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები იანვარ - დეკემბრის თვეში განისაზღვრა **34175.0** ათასი ლარით. გაწეულმა საკასო ხარჯვამ შეადგინა **31558.3** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **92.3** %.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს მთლიან ხარჯებში (31558.3 ათასი ლარი) ყველაზე მეტი ხვედრითი წილი, 54 %, მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე ,შემდეგ სუბსიდიებზე 27%, შრომის ანაზღაურება შეადგენს მთლიანი ხარჯების 7%-ს, საქონელი და მომსახურება 5%-ს, სოციალური უზრუნველყოფა 5%-ს, სხვა ხარჯები 2%-ს, გრანტები, სესხის პროცენტი და ვალდებულებების კლების ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში უმნიშვნელოა და 1% -საც არ შეადგენს.



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)			
დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3711.3	3514.8	94.7
ეკონომიკური საქმიანობა	13782.0	12744.0	92.5
გარემოს დაცვა	1497.0	1413.9	94.5
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3183.2	2947.6	92.6
ჯანმრთელობის დაცვა	180.0	167.1	92.8
დასვენება , კულტურა,რელიგია,სპორტი,	3592.2	3393.4	94.5
განათლება	6327.4	5643.9	89.2
სოციალური დაცვა	1901.9	1733.7	91.2
სულ ხარჯები	34175.0	31558.3	92.3

მუნიციპალიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობები, ხორციელდება მოსახლეობის გამოკითხვა, ტარდება სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმართება შეხვედრები. რის საფუძველზეც შემუშავდა 2019 – 2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. 2020 წლისათვის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

❖ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას 2020 წელში მოხმარდა **3514.8** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **3711.3** ათასი ლარის **94.7 %**; მათ შორის მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **3392.7** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **45.3** ათასი ლარი, ვალდებულებების კლებას **76.8** ათასი ლარი.

მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ამ კუთხით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა გადამზადების ხარჯები, მათი სწავლებისა, სასწავლო მიზნით მივლინებისა თუ სხვა ხარჯების დაფინანსება.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან **საკრებულოს** დასაფინანსებლად მიმართული იქნა **630.5** ათასი ლარი. დაფინანსდა 96.5 %-ით. (გეგმა 653.2 ათასი ლარი), **მერიის** დასაფინანსებლად **2341.0** ათასი ლარი, დაფინანსდა 94.5%-ით (გეგმა 2476.2 ათასი ლარი). **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას** მოხმარდა **110.7** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 85.4 %-ით (გეგმა 129.7 ათ. ლარი). **თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე** განსაზღვრული **4.8** ათასი ლარიდან 2020 წლის განმავლობაში **2.5** ათასი ლარი იქნა ათვისებული. **საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებათა მიზნობრივ პროგრამაზე** გაიხარჯა 12 თვეში **430.1** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯის **436.1** ათასი ლარის 98.6%.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა თორმეტ თვეში 202375.39 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ:

- ა) 64840 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 14 იანვრის №51 45 ბრძანების შესაბამისად;
- ბ) 59748 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 13 თებერვლის №51 227 ბრძანების შესაბამისად;
- გ) 11176 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 30 იანვრის №51 146 ბრძანების შესაბამისად;
- დ) 2306 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 28 თებერვლის №51 365 ბრძანების შესაბამისად;
- ე) 62494 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 27 აპრილის № 51 707 ბრძანების შესაბამისად;
- ვ) 100 ლარი გაიცა მერის 25 სექტემბრის №51 1586 ბრძანების შესაბამისად;
- ზ) 192 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 25 სექტემბრის №51 1587 ბრძანების შესაბამისად.
- თ) 1136 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 30 ოქტომბრის N51 1836 ბრძანების შესაბამისად.
- ი) 383.39 ლარი გაიცა მერის 2020 წლის

23 დეკემბრის N 51 2030 ბრძანების შესაბამისად.

მერიის სარეზერვო ფონდიდან 2020 წლის თორმეტ თვეში გამოყოფილი იქნა 85904 ლარი ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის №51 80 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 18250 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 იანვრის №51 95 ბრძანების, 12 თებერვლის №51 222 ბრძანების და 12 თებერვლის №51 223 ბრძანების საფუძველზე ახალგაზრდული პროგრამის ღონიძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა შესაბამისად 1200 ლარი, 1930 ლარი და 990 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 თებერვლის №51 230 ბრძანების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 880 ლარი ევროპის რეგიონთა ასამბლეას 2020 წლის საწევროს შესატანად, მუნიციპალიტეტის მერის 18 თებერვლის №51263 ბრძანებით სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნა 5100 ლარი, სპორტული ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაციისათვის 2260 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 06 მარტის №51 423 ბრძანებით სოფელ თაბაგრების დაზიანებული ხიდის აღსადგენად საპროექტო სამუშაოებისათვის 1500 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 მარტის №51 517 ბრძანებით წირქვალის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდ-ბოგირის აღსადგენად 25413 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის №51 525 ბრძანებით ზოგადი განათლების არაფინანსური აქტივების შეძენის მუხლით გამოეყო 6483 ლარი, საცხოვრებელი სახლების ფასადების აღსადგენად 45 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 მარტის №51 567 ბრძანებით ახალგაზრდული პროგრამების ღონისძიებებიდან ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოს ორგანიზატორის ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის 1000 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 მაისის №51 800 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 5700 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 11 აგვისტოს №51 1246 ბრძანების შესაბამისად სოფელ კაცხში მდინარე კაცხურაზე დაზიანებული ხიდბოგირის შესაკეთებლად საპროექტო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იქნა 1200 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 აგვისტოს №51 1361 ბრძანების შესაბამისად „თემობა 2020“-ის დოღში გამარჯვებული ახალგაზრდების დასაჯილდოებლად 1000 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 27 აგვისტოს №51 1374 ბრძანების შესაბამის მართლმადიდებლური სკოლის სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 5000 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 ოქტომბრის N51 1726 და 2020 წლის 14 დეკემბრის N 51 1990 ბრძანებების შესაბამისად ჭიათურის N3 საჯარო სკოლის გაზიფიცირების ქსელთან მიერთებისა და ბუნებრივი გაზის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის

შესაბამისად 3000 და 4953 ლარი.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება;

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება 2020 წლის ბიუჯეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში მოხდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების, სკვერების, მრავასართულიანი საცხოვრებელ კორპუსების ფასადების, საყრდენი კედლების, ხიდებისა და მოაჯირების, ფეხით მოსიარულეთა კიბეებისა და გადასასვლელების, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, დაფინანსდა მუნიციპალური ტრანსპორტი, მოხდა ავარიული შენობების რეაბილიტაცია, სასაფლაოების შემოღობვა. წყლის სისტემის განვითარება. სოფლად პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული ასიგნებების საკასო შესრულება 2020 წლის იანვარ - დეკემბრის თვეში შეადგენს **15691.6** ათას ლარს, დაფინანსდა 92.5 %-ით (გეგმა **16965.2** ათასი ლარი) მათ შორის:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **12156.2** ათასი ლარი (გეგმა 13121.5 ათასი ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 10711.1 ათასი ლარი (გეგმა 11580.1 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის მოწყობის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, 2020 წლისთვის განხორციელდა დაახლოებით 15 კილომეტრი გზის მშენებლობა რეაბილიტაცია. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო საინჟინრო მონიტორინგის შესყიდვა. ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობას მოხმარდა 86.7 ათასი ლარი (გეგმა 104.9 ათასი ლარი), საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობაზე გაიხარჯა 542.1 ათასი ლარი (გეგმა 584.5 ათასი ლარი), ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოსაწყობად 816.2 ათასი ლარი (გეგმა 851.8 ათასი ლარი).

ბ) წყლის სისტემის განვითარებას მოხმარდა 652.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 85.5%-ით (გეგმა 762.3 ათასი ლარი), მათ შორის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 207.2 ათასი ლარი (გეგმა 254.3 ათასი ლარი), შპს „ჭიათურის წყალის“ დაფინანსებაზე 444.9 ათასი ლარი (გეგმა 508.0 ათასი ლარი).

გ) გარე განათებაზე დაიხარჯა 655.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 98.6 %-ით (გეგმა 665.5 ათასი ლარი), აქედან გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა 282.9 ათასი ლარი (გეგმა 288.0 ათასი ლარი), გარე განათების ქსელის ახალი წერტილების

მოწყობა-რეაბილიტაციას 373.0 ათასი ლარი (გეგმა 377.5 ათასი ლარი).

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 587.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 89.0 %-ით (გეგმა 660.5 ათასი ლარი).

ე) მუნიციპალიტეტის ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 99.7 ათასი ლარი (გეგმა 102.6 ათასი ლარი). დაფინანსდა 97.2%-ით.

ვ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებას მოხმარდა 208.0 ათასი ლარი (გეგმა 233.3 ათასი ლარი), რაც მიმართული იქნა საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენაზე. დაფინანსდა 89.1%-ით. საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის მასალების შესაძენად გამოყოფილი 25.0 ათასი ლარი დარჩა აუთვისებელი.

ზ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე განსაზღვრული იყო 1417.5 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 1331.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 94.0%-ით. აქედან მწვანე ნარგავების განაშენიანებასა და სკვერების მოვლა-პატრონობას მოხმარდა 343.2 ათასი ლარი (გეგმა 374.3 ათასი ლარი), სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ ღონისძიებებს მოხმარდა 988.6 ათასი ლარი (გეგმა 1043.2 ათასი ლარი). დაფინანსდა 94.8%-ით.

თ) სასაფლაოების შემოსაღობად განსაზღვრული 2.0 ათასი ლარი დარჩა აუთვისებელი.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2020-2023 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როდორიცაა გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში აღსრულების კუთხით ჩართულია „ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“.

გარემოს დაცვაზე 2020 წლის განმავლობაში გაიხარჯა 1413.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 94.5%-ით (გეგმა 1496.9 ათასი ლარი), ათვისებული თანხიდან დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას მოხმარდა 1324.8 ათასი ლარი, რაზეც თორმეტ თვეში განსაზღვრული იყო 1342.0 ათასი ლარი. ხოლო სანიაღვრე არხების აღდგენაზე გამოყოფილი 100.9 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 89.1 ათასი ლარი. დასუფთავების სფეროში კაპიტალდაზანდებისთვის გამოყოფილი 54.0 ათასი ლარი

დარჩა აუთვისებელი.

4. განათლება;

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში საანგარიშო წელს განხორციელდა და მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ახალი ბაღების მშენებლობა, ინვენტარით უზრუნველყოფა.

2020 წელს პრიორიტეტის პროგრამის განსახორციელებლად განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **5643.9** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.2 %-ით (გეგმა 6327.4 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2868.8 ათასი ლარი. დაფინანსდა 99.2%-ით (გეგმა 2891.0 ათასი ლარი), ხოლო სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა-რეაბილიტაციასა და მშენებლობას მოხმარდა 1302.6 ათასი ლარი (გეგმა 1454.4 ათასი ლარი). ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამას მოხმარდა 1472.4 ათასი ლარი (გეგმა 1982.0 ათასი ლარი), საიდანაც 387.4 ათასი ლარი მოხმარდა ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებას, 1071.9 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების შეძენას, 13.1 ათასი ლარი სხვადასხვა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურისა და სპორტის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

2020 წელში პროგრამის განსახორციელებლად კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 94.5%-ით გეგმით განსაზღვრული იყო **3592.2** ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა **3393.4** ათასი ლარი საიდანაც:

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე განსაზღვრული **1516.5** ათასი ლარიდან, ფაქტიურად გაიხარჯა **1358.7** ათასი ლარი, დაფინანსდა **89.6%**-ით, აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 352.8 ათასი ლარით (გეგმა 356.0 ათასი ლარი), №27 სპორტული სკოლა 715.2 ათასი ლარით (გეგმა 719.0 ათასი ლარი) ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტსკოლა 233.6 ათასი ლარით (გეგმა 234.4 ათასი ლარი). სპორტული ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაციას მოხმარდა 57.1 ათასი ლარი (გეგმა შეადგენდა 207.1 ათას ლარს),

ბ) კულტურისა და რელიგიის სფეროს განვითარებას მოხმარდა **1965.9** ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული თანხის 1994.7 ათასი ლარის **98.6%**. აქედან №1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 260.2 ათასი ლარით (გეგმა 264.0 ათასი ლარი), №2 სამუსიკო სკოლა 172.8 ათასი ლარით (გეგმა 175.0 ათასი ლარი). სახვითი ხელოვნების სკოლა 62.9 ათასი ლარით (გეგმა 65.0 ათასი ლარი), ცენტრალური ბიბლიოთეკა 268.2 ათასი ლარით (გეგმა 270.7 ათასი ლარი), კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 1018.6 ათასი ლარით (გეგმა 1022.5 ათასი ლარი), ჭიათურის თეატრზე გრანტის სახით გაიცა 50.1 ათასი ლარი (გეგმა 50.1 ათასი ლარი), სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 3.1 ათასი ლარი (გეგმა 4.2 ათასი ლარი), კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია-აღჭურვაზე გამოყოფილი 13.2 ათასი ლარი წლის განმავლობაში არ გახარჯულა.

რელიგიის ღონისძიებებზე 2020 წლის თორმეტ თვეში გაიხარჯა გეგმიური 130.0 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსების ქვეპროგრამით დაფინანსდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია - მონასტრების მშენებლობა და გაეწია ფინანსური დახმარება სხვადასხვა მიმდინარე საჭიროებისათვის.

გ) ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში 2020 წელში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ინტელექტუალურ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება;

ინტელექტუალურ-შემოქმედებით-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა;

დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში;

წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, წარმატებული ახალგაზრდების, წარმატებული პედაგოგების, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებზე მონაწილე გუნდების და ინდივიდი სპორტსმენების დაჯილდოება;

ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება'

წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოება' ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;

სასკოლო სპორტული ოლიმპიადაში მონაწილეებისათვის სპორტული ფორმების შეძენა;

პროექტ „ეტალონის“ დაფინანსება;

პროგრამის დასაფინანსებლად მიმართული იქნა **68.8** ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით განსაზღვრული **81.0** ათასი ლარის, დაფინანსდა 85.0%-ით.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

2020 წელში განხორციელებულმა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამამ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაწევა. უზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური პროგრამები, რომლებმაც შეძლებისდაგვარად გააუმჯობესა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პროგრამის ფარგლებში 2020 წელში გახარჯული იქნა **1900.8** ათასი ლარი, დაფინანსდა 91.3 %-ით. (გეგმა **2081.9** ათასი ლარი), აქედან:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **167.1** ათასი ლარი. დაფინანსდა 93.0% (გეგმა 180.0 ათასი ლარი). აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებას მოხმარდა 128.2 ათასი ლარი (გეგმა 140.0 ათასი ლარი), საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები დაფინანსდა 38.9 ათასი ლარით (გეგმა 40.0 ათასი ლარი).

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **1733.7** ათასი ლარი, დაფინანსდა 91.2 %-ით (გეგმა **1901.9** ათ.ლარი). რის შედეგად დაფინანსდა შემდეგი სოციალური პროგრამები:

ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა ; მიმართული იქნა **899.1** ათასი ლარი (გეგმა 941.6 ათასი ლარი,

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული იქნა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა.ა). სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება; მოხმარდა **557.5** ათასი ლარი.

ა.ბ). პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება; მოხმარდა **47.8** ათასი ლარი

ა.გ). მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება ;მოხმარდა **168.8** ათასი ლარი

ა.დ). სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება; მოხმარდა **124.0** ათასი ლარი

ა.ე). რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება; მოხმარდა **1.1** ათასი ლარი

პროგრამის განხრციელების შედეგად ზემოთ აღნიშნული დაავადებების ფარგლებში ქიათურის სოციალური დაფინანსების წესის შესახებ საკრებულოს დადგენილების გათვალისწინებით შემღებისდაგვარად დაკმაყოფილებული იქნა ბენეფიციართა მომართვები.

ბ).ომის ვეტერანთა დაკრძალვა; მოხმარდა **1.0** ათასი ლარი (გეგმა 5.3 თ. ლარი).

გ).ბენეფიციართა უფასო სასადილოთი მომსახურება; მოხმარდა **134.3** ათასი ლარი (გეგმა 134.5 ათ.ლარი).

დ). მოსახლეობის სოციალური დაცვა; მოხმარდა **51.4** ათასი ლარი (გეგმა 62.3 ათ. ლარი).მათ შორის:

დ.ა).ხანდაზმულთა ერთჯერადი ციალური დაცვა; მოხმარდა **22.5** ათასი ლარი

დ.ბ).დევნილთა სოციალური დაცვა; მოხმარდა **9.0** ათასი ლარი

დ.გ).საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება; მოხმარდა **2.4** ათასი ლარი

დ.დ).მარჩანელდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება; მოხმარდა **17.5** ათასი ლარი

ე).ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; მოხმარდა **508.4** ათასი ლარი (გეგმა 611.3 ათ. ლარი). მათ შორის:

ე.ა). ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა; მოხმარდა **67.3** ათასი ლარი

ე.ბ). მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა; მოხმარდა **67.4** ათასი ლარი

ე.გ). შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა; მოხმარდა **61.9** ათასი ლარი.

ე.დ). მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება; მოხმარდა **311.9** ათასი ლარი

ზ). სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება; მოხმარდა **63.0** ათასი ლარი (გეგმა 70.0 ათ. ლარი)

თ). ომის ვეტერანთა დახმარება; მოხმარდა 76.5 ათასი ლარი (გეგმა 77.0 ათ. ლარი).

2021 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა 3404.4 ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე 2171.3 ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე 1233.1 ათას ლარს. მათ შორის:

№	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა (ლარებში)
	2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	3404374.86
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
1	საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007-რეგრესის პენსია	5591.17
2	№972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად	15400
3	საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია	30091.56
4	მიზნობრივი ტრანსფერი	36214
5	სკოლების რეაბილიტაცია	1006.86
6	საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია	9270.49
7	საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების რეაბილიტაცია	457.4
8	საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	4976.96
9	საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად	9559.7
10	საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია	329.83
11	საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია	0.97

12	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	164800.66
13	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019-გზების რეაბილიტაცია	212255.15
14	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია	14752.32
15	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სატაციანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	94.74
16	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სტადიონის რეაბილიტაცია	112099
17	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების რეაბილიტაცია	17813
18	საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	36580.95
19	სპეციალური ტრანსფერი	1500000
20	სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან	2171294.76
21	საკუთარი ნაშთი	1233080.1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის


შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 18 დეკემბერს №27 დადგენილებით 20133.2 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია 230.0 ლარით. რომელიც მთლიანად დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრულ მიზნობრივ ტრანსფერს შეადგენს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 19870.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 12595.2 ათასი ლარი გადასახადების სახით, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2600.0 ათას ლარს, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1275.0 ათას ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 10.0 ათას ლარს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 65.0 ათას ლარს, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1250 ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 9995.2 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) 7275.0 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **33** ათასი ლარით.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2021 წლის იანვარ - სექტემბერში ბიუჯეტის მიმართ ცვლილება განხორციელდა -ჯერ, რის შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა **39753.4** ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 11309.3 ათას ლარს. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 868.4 ათას ლარს. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები, 6163.3 ათას ლარს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 812.0 ათას ლარს, მაღალმთიანი განვითარების ფონდი 450.0 ათას ლარს, სახელმწიფო გრანტი 3015.6 ათას ლარს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **28411.1** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **13913.3** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **14497.8** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **33.0** ათასი ლარით.

2021 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **3404.4** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **2285.8** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **1118.6** ათას ლარს. მათ შორის:

№	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა (ლარებში)
	2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	3404374.86
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
1	საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007-რეგრესის პენსია	5591.17
2	№972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად	15400
3	საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია	30091.56
4	მიზნობრივი ტრანსფერი	36214
5	სკოლების რეაბილიტაცია	1006.86
6	საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია	9270.49
7	საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების რეაბილიტაცია	457.4
8	საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	4976.96
9	საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად	9559.7
10	საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია	329.83

11	საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია	0.97
12	საქართველოს მთავრობის №1596 განკარგულება 10/07/2019-მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები	114478
13	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	164800.66
14	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019-გზების რეაბილიტაცია	212255.15
15	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია	14752.32
16	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019სატაციანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	94.74
17	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სტადიონის რეაბილიტაცია	112099
18	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების რეაბილიტაცია	17813
19	საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	36580.95
20	სპეციალური ტრანსფერი	1500000
21	სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან	2285772.76
22	საკუთარი ნაშთი	1118602.1


საშემოსავლო ნაწილის ანალიზი

დასახელება	გეგმა (IIIკვ)	ფაქტი(IIIკვ საკასო)	პროცენტი
შემოსავლები	24643.1	20391.2	82.7
გადასახადები	10742.3	9972.4	92.8
გრანტები	5463.0	5462.2	100
სხვა შემოსავლები	8437.8	4956.6	58.7
არაფინანსური აქტივების კლება	27.6	84.8	307.2
სულ შემოსულობები	24670.7	20476.0	83.0
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	1920	2680.9	
ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)	0	0	
<i>სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით</i>	<i>26590.7</i>	<i>23156.9</i>	<i>87.1</i>

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის (იანვარ-სექტემბრის) შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე განისაზღვრა **24670.7** ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით **26590.7** ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **20476** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **24670.7** ათასი ლარის 83.0 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია **2507.0** ათასი ლარით მეტი შემოსულობები. (2020 წლის იანვარ-სექტემბრის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 17969.0 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივის ცვლილება (კლება) გეგმით განისაზღვრა 1920.0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად ფინანსური აქტივის კლებამ შეადგინა 2680.9 ათასი ლარი.

სახეობების მიხედვით 2021 წლის III კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი
მთლიან ბიუჯეტში



შემოსავლები

ქიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მოზილვებულია 9972.4 ათასი ლარი, მესამე კვარტლის გეგმის 10742.3 ათასი ლარის 92.8 %. მესამე კვარტალში ფაქტიური შემოსულობების ძირითადი ნაწილი 49% , გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია სულ 2506.3 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 1750.0 ათას ლარს, აქედან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შემოსულია 2484.1 ათასი ლარი სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი 22.2 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 7466.1 ათასი ლარი, მესამე კვარტლის გეგმის 8992.3 ათასი ლარის 83.0 %.

II.გრანტები: საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 5462.2 ათასი ლარი (გეგმა 5463.0 ათასი ლარი), მთლიან შემოსულობებში გრანტებმა შეადგინა 27% მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 561.4 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4026.9 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან 560.0 ათასი ლარი, სახელმწიფო გრანტი 314.0 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები: 2021 წლის მესამე კვარტლის (იანვარ-სექტემბრის) გეგმით განსაზღვრული 8437.8 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შემოსავალმა 4956.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 58.7 %-ია. მთლიან შემოსულობებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2021 წლის ცხრა თვეში 24 % შეადგინა.

სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში შემოსულია 98.3 ათასი ლარი (გეგმის 75.0 ათასი ლარის 131.1%), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 3118.9 ათასი ლარი გეგმის 7243.5 ათასი ლარის 43.3 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 3092.2 ათასი ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 6.8 ათასი ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 0.3 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2.6 ათასი ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 17.0 ათასი ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 13.2 ათასი ლარი, მიწის იჯარა 1.2 ათასი ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 5.0 ათასი ლარი (გეგმა 23.0 ათასი ლარი), სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0.8 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1512.0 ათასი ლარი, გეგმა 1000.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 9.7 ათასი ლარი, გეგმის 12.3 ათასი ლარის 78.6%; სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 177.9 ათასი ლარი, (გეგმა 84.0 ათასი ლარი) შესრულებულია 211.8 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 62.6 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული

სამართალდარღვევებისთვის 115.3 ათას ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შემოსულია 19.6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ-სექტემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 84.8 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული იყო 27.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 307.2% -ით. შემოსავალი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 75.2 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 9.6 ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის


III კვარტლის ასიგნებები

მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **42738.1** ათასი ლარით. აქედან მესამე კვარტლის ასიგნებებმა შეადგინა 26590.7 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯვამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა **23156.9** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **87.1** %.

ჭიათურიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს მთლიან ხარჯებში (23156.9 ათასი ლარი) ყველაზე მეტი ხვედრითი წილი, 41 %, მოდის არაფინანსური აქტივების შეძენაზე, შემდეგ

სუბსიდიებზე 38%, შრომის ანაზღაურება შეადგენს მთლიანი ხარჯების 7%-ს, საქონელი და მომსახურება 5%-ს, სოციალური უზრუნველყოფა 6 %-ს, სხვა ხარჯები 3%-ს.



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის
ბიუჯეტის III კვარტლის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2479.7	2340.8	94.4
ეკონომიკური საქმიანობა	12100.8	10046.5	83.0
გარემოს დაცვა	1452.3	1288.2	88.7
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1868.1	1724.6	92.3
ჯანმრთელობის დაცვა	138.8	129.8	93.5
დასვენება , კულტურა,რელიგია,სპორტი,	3433.1	3044.2	88.6
განათლება	3449.2	3084.1	89.4
სოციალური დაცვა	1668.7	1498.7	89.8
სულ ხარჯები	26590.7	23156.9	87.1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას **2021 წლის მესამე კვარტალში** მოხმარდა **2340.8** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **2479,7** ათასი ლარის **94.4** %; მათ შორის მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **2205.1** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **97.3** ათასი ლარი. ვალდებულების კლებას **38.4** ათასი ლარი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა **452.6** ათასი ლარი. დაფინანსდა **98.5** %-ით. (გეგმა 459.6 ათასი ლარი), მერიის დასაფინანსებლად **1734.4** ათასი ლარი, დაფინანსდა **98.1** %-ით (გეგმა 1768.4 ათასი ლარი). ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას მოხმარდა **93.7** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა **80.6** %-ით (გეგმა 116.2 ათ. ლარი). თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე განსაზღვრული 2.5 ათასი ლარიდან, 2021 წლის

ცხრა თვეში მთლიანად არის ათვისებული. ვალდებულების მომსახურების დაფარვაზე განსაზღვრული 127.7 ათასი ლარიდან ათვისებულია 57.6 ათასი ლარი

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა ცხრა თვეში 107.7 ათ. ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 მარტის N51 521 ბრძანებით გამოყოფილი იქნა შპს „კლასიკ სტროისათვის“ 90. 0 ათასი ლარი (სასამართლოს გააწყვეტილებით დაკისრებული).

